*<u>პროექტი</u>*

# საქართველოს კანონი

## „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.10.2013, სარეგისტრაციო კოდი: 140030000.05.001.017194) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]“ ქვეპუნქტი:**

„ბ[1]) კომპეტენციის ფარგლებში, დაკარგული მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის მოძებნაში პირთა დახმარება;“.

**2. მე-17 მუხლის:**

**ა) პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:**

„კ) დაკარგული მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის მოძებნის მიზნით პირის განცხადების არსებობის შემთხვევაში, რა დროსაც დასტურდება მობილურ საკომუნიკაციო აღჭურვილობაზე პირის საკუთრების უფლება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დაკარგული მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის ძებნის ინიცირებას.“;

**ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:**

„7. ამ მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნით პოლიცია უფლებამოსილია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიას, რომელიც ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფას ან/და მომსახურებას, მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის მოძიების ერთიანი სისტემის საშუალებით წარუდგინოს მოთხოვნა დაკარგული მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის აქტივაციის ფაქტის დაფიქსირების დაუყოვნებლივ შეტყობინების შესახებ. აღნიშნული ცნობის მიღების შემთხვევაში, პოლიცია უზრუნველყოფს სატელეფონო ნომრის მფლობელის დადგენას, ამ კანონით დადგენილი წესით პოლიციაში მოწვევას, გამოკითხვას, აგრეთვე, სათანადო

საფუძვლების არსებობისას მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის განმცხადებლისთვის გადაცემას. მოცემულ შემთხვევაში პირის პოლიციაში გამოცხადება სავალდებულოა.“.

**3. მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. პოლიციელი უფლებამოსილია გამოჰკითხოს პირი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მას აქვს საპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაცია. პირის მიერ ინფორმაციის მიწოდება ნებაყოფლობითია, გარდა ამ კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. 14 წლამდე ასაკის პირის მიმართ ამ ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით.

3. პირს უნდა განემარტოს საპოლიციო ღონისძიების განხორციელების საფუძველი, თუ ეს ხელს არ შეუშლის პოლიციას, შეასრულოს ამ კანონით დაკისრებული ფუნქციები. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამოკითხვის შემთხვევაში პირს ამ ღონისძიების განხორციელებამდე უნდა განემარტოს, რომ მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, გარდა ამ კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“.

**4. 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. მოწვევის შესახებ შეტყობინებისას პირს უნდა განემარტოს, რომ პოლიციაში გამოცხადება და პოლიციის დატოვება ნებაყოფლობითია, გარდა ამ კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“.

**5. 39-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 39[1] მუხლი:**

**„მუხლი 39[1]. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე პოლიციელის თანაბარ (ტოლფას) თანამდებობაზე გადაყვანა**

1. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, მინისტრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებითა და პოლიციელის თანხმობით ან პოლიციელის თანხმობის გარეშე შეიძლება მიღებული იქნას გადაწყვეტილება მსგავსი ფუნქციის მქონე თანაბარ (ტოლფას) თანამდებობაზე პოლიციელის გადაყვანის შესახებ. აღნიშნული გადაყვანა შესაძლებელია განხორციელდეს აგრეთვე ტერიტორიულად სხვა ადგილზე. პოლიციელის თანხმობის გარეშე ამ წესით გადაყვანა დასაშვებია 1 წლის ვადით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაგრძელდეს დამატებით 1 წლით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაყვანა დასაშვებია, თუ პოლიციელის განათლებისა (კვალიფიკაცია) და მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, მას შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ ან შესაბამისი სამსახურებრივი საჭიროების აღმოფხვრისას, პოლიციელი უბრუნდება გადაყვანამდე დაკავებულ თანამდებობას, ხოლო თუ აღნიშნული შეუძლებელია ინიშნება შესაბამის ტოლფას თანამდებობაზე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პოლიციელი უარს იტყვის შეთავაზებულ თანამდებობაზე, იგი გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.

4. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე პოლიციელის თანაბარ (ტოლფას) თანამდებობაზე ამ მუხლით დადგენილი წესით გადაყვანის გარდა პოლიციელის სამსახურებრივი გადაადგილების სხვა შემთხვევები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი** **სალომე ზურაბიშვილი**